

ანოტაცია
იოდზეფი 10% (Iodsep 10 %)

Povidon Iodine

გარეგანი გამოყენების ხსნარი, გამოიყენება ყველა სახის ცხოველის და ფრინველის კანის დეზინფექციისთვის.

შემადგენლობა

1 მლ შეიცავს აქტიურ ნივთიერებას: პოვიდონ-იოდს 100 მგ.

აღწერა: მუქი ყავისფერი სითხე, დამახასიათებელი სუნით.

ფარმაკოლოგიური თვისებები

იოდზეფის 10 %-იანი ხსნარი ანტისეპტიკური, სადეზინფექციო საშუალებაა, რომელიც ხასიათდება ანტიმიკრობული მოქმედების ფართო სფექტრით. აქტიურია გრამდადებითი და გრამუარყოფითი **ბაქტერიების** (მათ შორის პასტერელას, სალმონელას, ეშერიხია კოლის, სტრეპტოკოკების, სტაფილოკოკების, სპიროქეტების, კორინობაქტერიების, ტუბერკულიოზის, მიკრობაქტერიის და სხვა), **სოკოების, ვირუსების, უმარტივესების** მიმართ. კანთან და ლორწოვან გარსებთან კონტაქტისას იოდი თანდათან და თანაბრად გამოთავისუფლდება და ავლენს ბაქტერიციდულ მოქმედებას მიკროორგანიზმებზე. პოვიდონ-იოდის პრეპარატების გამოყენების ადგილზე რჩება თხელი ფერადი ფირის ფორმირებადი ფენა, რომელიც მანამდე ინახება, სანამ არ გამოთავისუფლდება იოდის მთლიანი რაოდენობა, შემდეგ მისი მოქმედება წყდება. ბაქტერიციდული მოქმედება ვითარდება სწრაფად 15-60 წამში. კანზე და ლორწოვან გარსზე კონტაქტისას იოდ-პოლივინილპიროლიდონის კომპლექსი გარდაიქმნება ბაქტერიციდულ აქტიურ იოდად.

პრეპარატი ხელს უწყობს ინფექციის თავიდან აცილებას. ფორმულა არ იწვევს გაღიზიანებას ან წვას. პრაქტიკულად არ აღიზიანებს და არ ტოვებს ლაქებს კანზე, ბეწვზე და ბუნებრივ ქსოვილებზე.

გამოყენების ჩვენებები

- კანის, პირის ღრუს ანთებების, ლორწოვანი გარსების ანტისეპტიკური დამუშავება.
- ჭრილობების, დამწვრობების, წყულელების (მათ შორის ტროფიკული წყულელების), ინფექციური დერმატიტების, სოკოვანი დაავადებების, პაპილომების, ჩირქოვანი დაავადებების დეზინფექცია.
- ცხოველების ოპერაციის წინა და ოპერაციის შემდგომ პერიოდში (მათ შორის კასტრაციების დროს) მანიპულაციების ჩასატარებლად;

- გინეკოლოგიაში მწვავე და ქრონიკული ვაგინიტების, მომყოლის შეჩერების, ენდომეტრიტების, მეტრიტების, ტრიქომონოზის, კანდიდოზის დროს (მ.შ. სავლების სახით).
- ცხოველების კიდურების დეზინფექცია (მ.შ. თურქულის, ნეკრობაცილოზის დროს).
- განზავებული ხსნარების გამოყენება დასაშვებია ოფთალმოლოგიური ჩარევისას.
- ხელების დეზინფექცია (ქირურგის, დამხმარე პერსონალის), ოპერაციამდე და ოპერაციის შემდეგ, ასევე დაინფიცირებულებთან კონტაქტის შემთხვევაში, დიაგნოსტიკამდელი და დიაგნოსტიკის შემდგომი გამოკვლევების და მანიპულაციების (ინექციები, პუნქციები, სისხლის აღება, ბიოფსია, შარდის ბუშტის კათეტერიზაცია და სხვა) დროს.
- შენობების, კვების პროდუქტების გადამამუშავებელი საწარმოების, კვების ობიექტების, სამედიცინო დაწესებულებების, ასევე ცხოველების სადგომების, საფრინველების, ინკუბატორების, საკვებურების, წყლის ჭურჭლისა და სხვა მოწყობილობების დეზინფექცია

უკუჩვენებები

მაღალი მგრძობელობა იოდის ან პრეპარატის სხვა კომპონენტის მიმართ; ჰიპერთირეოზი ან ფარისებრი ჯირკვლის ფუნქციების სხვა გამოხატული დარღვევები (გულისცემის გახშირება, შფოთვა); მაკუობის II და III ტრიმესტრი.

გვერდითი მოვლენები

ჩვეულებრივ კარგად აიტანება ცხოველებში და ინსტრუქციის შესაბამისად გამოყენებისას არ იწვევს გვერდით მოვლენებს ან გართულებებს.

ძალიან იშვიათად აღინიშნება კანის ზემგრძობელობის რეაქციები (შენელებული ტიპის ალერგიული რეაქციები - ქავილი, სიწითლე, ბუშტუკები), ამ დროს პრეპარატის გამოყენება უნდა შეწყდეს.

სამიზნე სახეობა: ყველა სახის ცხოველი და ფრინველი.

დოზირება სამიზნე სახეობებისთვის, გამოყენების მეთოდი

იოდზეფის 10 %-იანი ხსნარი განკუთვნილია გარეგანი გამოყენებისათვის განზავებული და განუზავებელი სახით.

- კანისა და ჭრილობების დასამუშავებლად გამოიყენება იოდზეფის წყალხსნარი 1:10 განზავებით.
- კიდურებისა და პირის ღრუს დეზინფექციისათვის 1:100-150-ზე განზავებით.

- კანისა და ლორწოვანი გარსის სოკოვანი და ბაქტერიული ინფექციებისთვის პრეპარატი გამოიყენება განუზავებლად.

თავდაპირველად ასუფთავებენ კანს, შემდეგ დასამუშავებელ უბანს საფუძვლიანად ასველებენ, სამუშაო ხსნარის სრული დაფარვითა და შეღწევადობის უზრუნველსაყოფად და ტოვებენ 1-2 წთ, შემდეგ ჩამობანენ გულდასმით. საჭიროებისამებრ შეგიძლიათ დაადოთ სახვევი.

- შენობა ნაგებობის და მოწყობილობების სადენზინფექციოდ - 1:100 – 1-200-ზე განზავებით. განზავებული ხსნარი 1 ლიტრი საკმარისია - 4მ² ფართობის დასამუშავებლად, ხოლო გაფრქვევით 100მ³ მოცულობისათვის.
- შენობა ნაგებობის და მოწყობილობების სადენზინფექციოდ, ინფექციური კერების არსებობისას - 1:20 – 1:50 განზავებით.

სპეციალური გაფრთხილებები

განსაკუთრებული სიფრთხილის ზომები სამიზნე სახეობებში გამოყენებისას: ხსნარი არ არის განკუთვნილი შიგნით მისაღებად სამიზნე სახეობებისთვის. ხსნარი არ უნდა განზავდეს ცხელი წყლით. დასაშვებია ხანმოკლე შეთბობა სხეულის ტემპერატურამდე.

განსაკუთრებული სიფრთხილის ზომები ცხოველებში გამოყენებისას: სამუშაო ხსნარი მზადდება უშუალოდ გამოყენების წინ. დამზადებული ხსნარის ხანგრძლივად შენახვა დაუშვებელია. ხსნარს უნდა ჰქონდეს მუქი-ყავისფერი შეფერილობა, გაუფერულება არაეფექტურობის მაჩვენებელია. სინათლეზე და 40°C ტემპერატურაზე ჩქარდება აქტიური ნივთიერების დაშლა.

განსაკუთრებული სიფრთხილის ზომები, რომელიც უნდა იქნას მიღებული პირის მიერ, რომელიც ატარებს მანიპულაციებს ვეტერინარული პრეპარატით სამიზნე სახეობებზე:

პრეპარატთან მუშაობისას დაცული უნდა იქნას პირადი ჰიგიენის და ვეტერინარულ პრეპარატებთან მუშაობის უსაფრთხოების ტექნიკით გათვალისწინებული წესები.

იოდზეფის 10 %-იანი ხსნარი თვალში მოხვედრა საზიანოა. თვალში მოხვედრისას უნდა მოხდეს მისი წყლით გულდასმით გამორეცხვა. შემთხვევით გადაყლაპვის შემთხვევაში სამედიცინო რჩევისთვის მიმართეთ ექიმს და აჩვენეთ შეფუთვის ფურცელი ან ეტიკეტი.

ურთიერთქმედება

არ გამოიყენოთ გარეგანი გამოყენებისთვის სხვა ანტისეპტიკებთან და სადენზინფექციო საშუალებებთან ერთად, აქვეითებს ურთიერთეფექტურობას.

ჭარბი დოზირება

პრეპარატის მნიშვნელოვანად გაზრდილი რაოდენობით გამოყენებისას შეიძლება განვითარდეს შემდეგი სიმპტომები: ანურია, სისხლმიმოქცევის უკმარისობა, ხორხის შეშუპება, სუსტი პულსი ან მისი არარსებობის დროს ფილტვების შეშუპება, ნივთიერებათა ცვლის დარღვევა.

ლოდინის პერიოდი

არ საჭიროებს

გამოშვების ფორმა: 50 მლ გარეგანი გამოყენების ხსნარი თეთრი ფერის პოლიეთილენის ფლაკონში, გამფრქვევი საცობით და დამცავი ხუფით, 20 მლ, 100 მლ და 1000 მლ და პოლიეთილენის ფლაკონში .

შენახვის პირობები

ინახება მშრალ, გრილ, სინათლისგან დაცულ ადგილას 15-25° C ტემპერატურაზე.

შენახვის ვადა: 2 წელი

უტილიზაცია

არ გადაადგოთ პრეპარატი ჩამდინარე წყლებში. გამოუყენებელი პროდუქტის და/ან მისი შეფუთვის სწორად განადგურებისთვის კონსულტაცია გაიარეთ თქვენს ვეტერინართან. ამ ზომების დაცვა ხელს შეუწყობს გარემოს დაცვას.

ფარმაკოთერაპიული ჯგუფი: ანტიბიოტიკური, სადეზინფექციო საშუალება,
ATCvet.code: QD08AG02.

მხოლოდ ვეტერინარული გამოყენებისათვის.

შეინახეთ ბავშვებისათვის მიუწვდომელ ადგილას.

მწარმოებელი ქვეყანა: შპს „ბიოტექსი“, საქართველო, თბილისი , იუმაშევის ქ#8